# დროება

## ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 196 — პარასკევი, 4 სექტემბერი 1909 წ. — № 196

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ღთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9-საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



კვირას ექვს ენკენისთვეს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## თ-დის სიმონ დავითის მის გუგუნავას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და პატივისმცემელთ ქვრივი განსვენებულისა კნ. ფეოდოსია ნიკოლოზის ასული და შვილები თ-დი დავით და გრიგოლ სიმონის ძენი გუგუნავები. (2—კვ.—2)



მაშო ყაფლანის ასული წერეთლისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 5 ამა ენკენისთვეს, დილით, სოფელს პერევისის ეკლესიაზე გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ ძვირფას, ერთად-ერთ შვილის

## კოლა მიხეილის მის წერეთლის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—ტარ.—1)



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 6 ენკენისთვეს, 1909 წ., № 1.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ, ბ-ნ ვ. ა. იმედაშვილისა და ი. ივანიძის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

# „ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი"

ტრაგედია 5 მოქმედებად, თარგმანი ნ. ავალიშვილისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ა. ქიქოძე; ბ-ნნი: ინაშვილი, ბადრიძე, ბაქრაძე, იმედაშვილი, ივანიძე, ზურაბიშვილი, ნარი, რომანიშვილი, რევაზოვი, შათირიშვილი, მეტრეველი და ჯაბაური.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს საღამოს, 17 ენკენისთვეს. მზადდება წარმოსადგენად: «ქირვეული ცოლის მორჯულება», კომ. 4 მოქ. შექსპირისა; «შემოსავლიანი ადგილი», ოსტროვსკისა და სხვ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება. პატარა ბავშვების თეატრში შეყვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი შათირიშვილი. ადმინისტრატორი სვირელი.



ქ. ოზურგეთში

(ზემო ბაღში) კვირას, 6 ენკენისთვეს

ოზურგეთის რეალურ სასწავლებლის სასარგებლოდ

გაიმართება დიდი

## სახალხო სეირნობა

შემდეგი პროგრამით: დაუკრავს სამხედრო მუსიკა, ზურნა, გრამოფონი, მანდოლინისტთა ორკესტრი, იმღერებენ ქართულად და რუსულად, ითამაშებენ ლეკურს, წაიკითხავენ ლექსებს, ჰაერში გაუშვებენ მაშხალებს, ბურთებს (შარებს). სროლა ნიშანში, ჭიდაობა, რგოლების ჩამოცმევა, ლატარეია-ალეგრი, ბაზარი, ბოჭკა-იღბალი, „პტი-შვო", ცხენების ჯირითობა, ღია ბარათი ლექსებით, მარჩიელი ჩაჩნის ქალი, მეოცე საუკუნის აფთიაქი, კომფეტები, ყვავილები, ფოსტა, ბუფეტი, ბავშვებისათვის დროშებით სეირნობა და ტომრებში სირბილი: ვინც გაასწრებს საჩუქრად მიიღებს მამალს. ლოტერეიაში ჩაგდებულია ერთი ქცევა მიწა, ცხენი, გახედნილი თხა უნაგრით, სამოვარი, საათი, გიტარა და სხვა.

მოსეირნეთ დაურიგდებათ კონტრამარკები, რომელზედაც ვთხოვთ დაწერონ სახელი და გვარი ულამაზეს მოსეირნეთ შორის. ვინც რიცხვით მეტ ხმას მიიღებს, საჩუქრად მიეცემა ოქროს ჟეტონი. ულამაზეს ქალს ირჩევენ კაცები, კაცს—ქალები. შემოწირულება მიიღება ექიმ ტიტიკო ერისთავის სახელზე. ბაღში შესასვლელი 20 კ., ბავშვების 10 კ. (3—2)



წიგნის მაღაზია და ჟურნალ გაზეთების კანტორა

# „იმერეთი"

(წინანდელი „კ ო ლ ხ ი დ ა" ქუთაისში)

1 ენკენისთვიდან ხსნის განყოფილებას გიმნაზიის ქ. ბულვარის პირდაპირ, ალ. თუმანოვის სახლებში და იწყებს ვაჭრობას ქართულ-რუსულ სახელმძღვანელოებით, სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთებით, რვეულებით, ღია ბარათებით, ფოსტის და გერბის მარკებით და სხვა.

კანტორას მოსდის მუდამ დღე ყველა ადგილობრივი და სატახტო ქალაქებიდან უფრო გავრცელებული ჟურნალ-გაზეთი და იღებს მათზე ხელის მოწერას. ვისაც სურს ახ ლი გაზეთები დილითვე მიიღოს ბინაზე,—უნდა ჩაეწეროს კანტორაში, აჩვენოს ადრესი და კანტორის მეგაზეთეები მიუტანენ მათ შეკვეთილ გაზეთებს.

მაღაზია ღებულობს: ქართულ-რუსულ ახალ წიგნებს, გამოჩენილ მწერლების და მოღვაწეების სურათებს, ნახატებიან ღია ბარათებს და სხვ.

კანტორა ღებულობს: ყოველ-გვარ განცხადებებს გაზეთებში დასაბეჭდათ საკომისიოთ წიგნებს და წარმომადგენლობას მთელ გუბერნიისათვის, წიგნების გამომცემლების, რედაქციების და ქაღალდის ფაბრიკისაგან.

კანტორას შეკვეთილი აქვს საზღვარ-გარედ რუსულ-ქართული „რემინგტონი" და მიღებისათანავე დაიწყებს კერძო ფასიან სამუშევრების მიღებას. ფასები გადაწერისა კანტორაში იქნება გამოცხადებული. (6—კვ.—3)



ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ბ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—148)



**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა იორდანე მ. გოცაძე

დაბა ყვირილაში

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს იგლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—11)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—241)

**ექიმი** ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კალეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—5)

**ექიმი** ქ. ქუთაისში. მ. დ. ბეთანოვი

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს, საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—10)

**ექიმი** ჩარექოვი ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.

იღებს განსაკუთრებით სიფილით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—1)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 13. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ოლგას ქუჩა, N 24. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—53)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ...რონხი, N 9. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. ... ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მღვდ ქიქოძის სახლი. (0—უ.—4)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 150,

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—57)



## 14 სექტემბერს გამოვა

კვირეული გაზეთი

# „მერი"

ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ბ. ავალიშვილთან.

გაზეთი წლის ბოლომდე ეღირება 2 მან., თითო ნომერი 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: არაგვის ქუჩა, № 5.

რედაქტორ-გამომცემელი პ. სურგულაძე. (5—1)



ქუთაისში

გამოვიდა ახალი გამოცემა

## „კოლხიდა"-სი

„სახმო წესით" კითხვის სწავლება—ანდრია შუბლაძისა—ფასი 10 კაპ. და „ქართული მოძრავი ასოები"—ფ. 5 კაპ. ცალი. იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიასა და გაზეთების აგენტებთან. (5—კვ.—3)



გამოვიდა

## დუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი:

# ლექსები

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების" რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდად წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების" რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადიხდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

სამ აბაზად

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: „მოთხრობები". (10—უ. 1)



შესდგა ქართული ეროვნული

## ხორო

რომელიც კისრულობს ეკკლესიებში და მიცვალებულთა. დაკრძალვაზედ გალობას და კონცერტსა და წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებას.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ი. კარგარეთელს. (5—1)



დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

## „სანდო"

გიორგი მიხეილის ძის ჩიქაძისა ქუთაისში, ბალახვანის ქუჩა.

სანერგის პატრონი დაჯილდოვებულია საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ვერცხლის მედლით. (10—ნ.—9)



იყიდება ყველგან ახალი

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—7)



ქ. ქუთაისში.

თ. მთავრიშვილის წიგნის

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „გუთანი", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, სახელ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—ნ—21)


# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 სექტემბერი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** იემენში (კუნფუდი), სადაც მოჰკლეს ადგილობრივი მუტესარიფი და მაგდის მომხრე არაბებმა სულ ერთიანად ამოსწყვიტეს ორი ბატალიონი, მოვიდა ოსმალეთის ორი სამხედრო გემი. ოსმალეთის ესკადრის დანარჩენი გემები წითელ ზღვაში გავიდნენ.

სიკვდილით დასაჯეს ხუთი ადანელი სომეხი. სომხთა პატრიარქის და ოსმალეთის მთავრობის მოლაპარაკება შედეგს ვერ აღწევს. პატრიარქი გადაყენებას თხოულობს.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** სასამართლომ დაადგინა რუსეთს გადასცეს ქვეშევრდომი ვიქტორ ვასილიევი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბანკის გაძარცვაში. ვასილევის გაცემა რუსეთის მთავრობამ მოითხოვა.

**ტანჟერი.** 29 აგვისტოს სულთანმა მიიღო კონსულები. კონსულმა გალიარმა წაიკითხა საერთო ნოტა. კონსულები პროტესტს აცხადებენ, ნამეტან სასტიკად ექცევიან როგის მომხრეებსაო. მულაი-გაფიდმა კონსულებს აღუთქვა, როგის მომხრეებს სასტიკად აღარ მოვექცევითო.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატამ მოიწონა საფინანსო კანონპროექტის ის მუხლი, რომლითაც მემკვიდრეებზე გადასახადი წესდება. პალატის სხდომამ ნაშუადღევის 4 ნახ. საათამდის გასტანა.

**მაინის-ფრანკფურტი.** ჰაეროპლანი „ცეპელინ მესამე" მანჰეიმისკენ გაფრინდა. ჰაეროპლანით მიფრინავენ პრინცესა ავგუსტა-ვიქტორია გელმი მეუღლით და ფილიპე.

**ვენა.** რუმინელ კათოლიკ ეპისკოპოსის კრებამ პაპთან უჩივლა უნგრეთის მთავრობას, საერო განათლების მინისტრმა ბრძანება გამოსცა სკოლებში ლოცვები მადიარულ ენაზე უნდა ასწავლოთო.

ზაგრების პროცესსი. პროკურორმა დაამთავრა საბრალმდებლო სიტყვა. პროკურორი თხოულობს ძმები პრიბიშევიჩები, ორეშანინი, ვეკიჩი და ძუკევიჩი სიკვდილით უნდა დაისაჯნენ, დანარჩენ 49 ბრალდებულს 10—20 წლამდის კატორგა უნდა მიესაჯოთ.

### რუსეთი

**ალექსანდროვსკი** (ეკატერინოსლავის გუბერნია). სოფელ გულიაი პოლეში გადაიწვა 23 სახლი.

**მოსკოვი.** პოლიციამ დააპატიმრა შუშის მცხოვრები ტაგიროვი. ტაგიროვს უპოვეს ორი კალათა იარაღი. იარაღი სპარსეთისთვის იყო დანიშნული.

**ეკატერინოდარი.** სოფელ შირკანსხაიაში ნავთმა ამოხეთქა.

**პენზა.** სოფელ სოსაკინაში გადაიწვა 81 სახლი და წლევანდელი მოსავალი. დაიწვა ბევრი დედაკაცი.

**რიგა.** მემამულეებმა სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს ტიზენგაუზენი.

**სარატოვი.** ნიჟნაია დობრინკაში გადაიწვა 67 სახლი.

**პეტერბურგი.** დმიტროვსკის შესახვევში პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო კლუბი, სადაც ქაღალდსა თამაშობდნენ. დააპატიმრეს 30 კაცი.

**ეკატერინოდარი.** ქალაქის ახლო გაძარცვეს რკინის გზის მეარტელე. წაიღეს 20,000 მანეთი. არიან დაჭრილები.

**ტაშკენტი.** ტფილისის მცხოვრებმა—უფლება ჩამორთმეულმა სომეხმა დანით სასიკვდილოთ დასჭრა ერთი, მსუბუქად 3 დარაჯი და ერთი უცნობი. დარაჯებს მისი დაჭერა უნდოდათ. ყაზახებმა სომეხს იარაღი აჰყარეს და დააპატიმრეს.

**პეტერბურგი.** ხვალ კანონთა კრებულში გამოქვეყნებული იქნება შემდეგი, უმაღლესად დამტკიცებული, დებულება ძირითად კანონების მე-96 მუხლის ხმარების წესის შესახებ: 1) ყველა საქმე, რომელიც კი საზღვაო და სამხედრო სამინისტროთა გამგებლობაშია, წარდგენილ უნდა იქნას ხოლმე პირდაპირ ხელმწიფე იმპერატორთან; 2) ხელმწიფე იმპერატორს უნდა წარედგინოს პირდაპირ აგრეთვე ის საკანონმდებლო საქმეები, რომელნიც შეეხება ყაზახებს, როგორც სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალას; 3) ეს საქმეები, რომლებიც პირდაპირ ხელმწიფეს უნდა წარედგინოს, არ უნდა ეხებოდეს საზოგადო კანონებს, ე. ი. სამხედრო და საზღვაო უწყებათა გამგეობის ქვეშ მყოფ საქმეებს არ უნდა სცილდებოდეს და არ უნდა ითხოვდეს ახალ ხარჯებს ხაზინიდან; 4) იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო და საზღვაო სამინისტროებს არა ჰყოფნით ფული განზრახულ საქმეებისთვის, ეს ფული, დაკანონებულის წესით მოთხოვნილ უნდა იქმნას საკანონმდებლო დაწესებულებისაგან.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად-გახდა 40, გარდაიცვალა 4, ავად-არის 332 საცი.

**ასტრახანი.** ავად-გახდა 3, გარდაიცვალა 2 კაცი.

კოსტრომის მხარეში ავად-გახდა 11, გარდაიცვალა 4 კაცი.

კრონშტადტში ავად-გახდა 1, ავად-არის 2 კაცი.

გუნგესურგში გარდაიცვალა 2, ისხამსტალში ავად-გახდა 1 კაცი.

# პატარა არაბესკები

2

### პოზიტივული აზროვნება.

აზროვნება შეიძლება იყოს ან მეტაფიზიკური ან პოზიტიური. ჩვენ, ქართველები, ვაზროვნებთ, რასაკვირველია, მეცნიერულად ანუ პოზიტივურად. ყოველივე დღესავით ნათელია ამ წუთისოფელში; აქ ადგილი არა აქვს არც ამოცანას, არც საიდუმლოებას, არც რაიმე გრძნეულს, ალქაჯს ან მოჩვენებას. ცხოვრება გაშლილი ტაბლაა და ტაბლაზე ლამპა სდგას: ლამპა კი რუსების შემოტანილია. უწინ აქ წყვდიადი იყო და სიბნელე, ეხლა სინათლეა და თვალთხილულება.

ადამიანი შესდგება სხეულისა და სულისაგან. სხეულის ზედა-ნაწილში ტვინი იმყოფება. სული ეს იგივე ტვინია, თუ საქმეს მეცნიერულად შევხედავთ. ამას მგონია, ბევრი დამტკიცება არა სჭირია: მაგალითად, თუ ადამიანს თავი გაუჩეხეთ და ტვინი დავანთხევინეთ, მისი სული გაჰქრება. აქედან ცხადია, რომ ტვინი და სული ერთი და იგივეა.

ჩავყვეთ ქვევით. სხეულის ქვედა ნაწილში იმყოფება კუჭი! მეტი სმენა იყოს და გაგონება: აქ არის თავი და თავი საკითხი დამალული! შევჩერდეთ ცოტა ამ საქმეზე და ნათლად გამოვარკვიოთ. კუჭი—ეს იგივე ტვინია, თუ საქმის ვითარებას ქვევიდან შევხედავთ (ვინც საკითხს ზევიდან უყურებს, ის ჰაერში ფრინავს და, მაშასადამე, უტოპისტია და არა მეცნიერი): ჩვენ უკვე ვიცით, რომ ტვინი—ეს იგივე სულია. აქედან ლოღიკურად გამომდინარეობს, რომ კუჭიც იგივე სული ყოფილა! დღესავით ნათელია ყოველივე ეს.

მაინც ურიგო არ იქნება, ეს უკანასკნელი აზრი კიდევ უფრო განვმარტოთ და დავასურათოთ. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ მუცელში ხანჯალი ჩაგცეს, კარგად გამოგფაშვეს და თან თქვენი კუჭიც გამოაყოლეს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ამ კუჭს თქვენი სულიც თან გამოჰყვება. აქედანაც ცხადია, რომ კუჭი და სული ერთი და იგივეა.

ყოველივე ზემოდ ნათქვამი პირველად მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტებმა დაამტკიცეს საფრანგეთში. შეიძლება თქვენ ვერც იცნობდეთ ჰელვეციუსს, ჰოლბახს, დე-ლმეტრის და კონდილიაკს! ფრიად გაუზრდელი და გაუნათლებელი ვინმე ჰყოფილხართ!.. მათ ვერც ჩვენ ვიცნობთ, მაგრამ ყოველივე ეს ამბად გადმოგვცა კაუცკიმ (აქ ადგილი აქვს მხოლოდ აღტაცებას და მოკრძალებას!), პლეხანოვმა (მეტი აღტაცება და მოკრძალება!) და... ჩვენმა რაჟდენიძემ (უსაზღვრო აღტაცება და ენით გამოუთქმელი სულიერი ნეტარება, იმის გამო, რომ დღეს ჩვენცა გვყავან მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტები!)

შევხედოთ ეხლა საგანს სოციალურ თვალთსაზრისით, ე. ი. გამოვარკვიოთ საზოგადოების ვითარება. საზოგადოება, როგორც ყოველ ხეირიან ყაზარმას შეეფერება, ორი ნაწილისაგან შესდგება: ქვევით არის საძირკველი, საძირკველზე სდგას ზედნაშენი. რა არის საძირკველი? ეს არის ყოველივე ის, რაც აწარმოებს (ცხენები, ვირები, კამეჩები და სხვა ჩლიქოსანი, რქოსანი და კუდოსანი; შემდეგ მანქანები, ორთქლი, ელექტრონი და სხვა ძალნი ბუნებისანი). რა არის ზედნაშენი? ეს არის ყოველივე, რაც გამომდინარეობს საწარმოვო ძალთაგან. როცა საძირკველი იცვლება—იცვლება ზედნაშენიც: ამას ბევრი მტკიცება არა სჭირია. რა სცვლის საძირკველს? ეს მეტაფიზიკური საკითხია და, მაშასადამე, მისი გადაწყვეტა შეუძლებელია.

მგონია, საკმაოდ გამოვარკვიეთ საზოგადოების შემადგენლობა. არიან კიდევ საზოგადოებაში ადამიანები. ისინი განიყოფებიან სამად: პროლეტარიატად, ბურჟუაზიად და ინტელიგენციად. პროლეტარიატი—ეს იგივე საწარმოვო ძალაა, ანუ მანქანა, ბურჟუაზია—ხორცმეტია ჯანსაღ სხეულზე, ხოლო ინტელიგენცია—ერთგვარი ზეთია, იმის მსგავსი, რომლითაც რუსის სალდათები ჩექმებს იწმენდენ; ეს ზეთი მანქანას უნდა დაესხას, რათა იგი უფრო კარგად მოვიდეს მოძრაობაში. არსებობენ კიდევ ბნელი წარსულის აჩრდილნი: ფეოდალები, კლერიკალები და გლეხები, მაგრამ აქ მეტაფიზიკის სფერა იწყება და მეცნიერული მსჯელობა შეუძლებელია.

დღესავით ნათელია ყოველივე ეს... **გ. ქ.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **საქართველოს ეკლესიის ბედი.** „გოლ. მოსკ." პეტერბურგიდან ატყობინებენ: „უმაღლეს სასულიერო წრეებში ჯერ-ჯერობით განზრახული არ არის შეუდგნენ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციას. სინოდი უდროოდ სთვლის საქართველოს ეგზარხად ვინმე დანიშნოს, რადგან, სინოდის აზრით, საქართველოს სამღვდელოება ჯერეც არ დამშვიდებულა. სინოდის ცნობებით, საქართველოს ავტონომიის მომხრეები ხელ-ახლად აპირებენ აღელვებას და ამიტომ შესაძლებელია საქმე კვლავ გამწვავდეს".

✦ **სიმინდის ფასის აწევა.** როგორც ვწერდით საქართველოში ბევრ ადგილს დამშევა მოელის. უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაშია დასავლეთი საქართველო, სადაც წელს სიმინდის მოსავალი სულ არ არის. ადგილობრივ ბათმანი სიმინდი (წონით 20 გირვანქა) 30 კაპეიკის ნაცვლად ეხლა თურმე 1 მანათად გამხდარა. ეხლავე ბევრი ჩარჩი-ვაჭარი კავკავისკენ გამგზავრებულა სიმინდის მოსატანად. ადვილი მისახვედრია, რა ფასად გაიყიდება ეს სიმინდი.

✦ **მალოროსები ბორჩალოში.** ამ დღეებში ჩერნიგოვის გუბერნიიდან ბაქო-ბალაჯარის გზით ჩამოვიდა 100 მოსახლე მალოროსი. ახალმოსახლენი გაემგზავრნენ ბორჩალოს მაზრაში, სადაც მათთვის, როგორც გავიგეთ, საგლეხო ბანკის საშუალებით, ბარათაშვილებს მიუყიდნიათ ადგილები, დესეტინა 70 მანეთად.

✦ **კანონ-პროექტი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სათათბიროში შეაქვს კანონპროექტი კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.

✦ **იმერეთის მეფის სოლომონ მეორის წერილები.** როგორც ვწერდით, გაისს სრულდება ასი წელიწადი, რაც იმერეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა. აზრადა აქვთ, ამ დროისთვის გამოსცენ სოლომონ მეფის წერილები მეფის სურათითურთ.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 9 სექტემბრისთვის კავკ. სამხედრო სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე მ. კაპანაძისა, გ. მგალობლიშვილისა, თავ. ერისთავისა და კონსტანტინე ფარჯანაძისა, რომელთაც ჰბრალდებათ ბოლშევიკების ფრაქციის წევრობა და სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება. ბრალდებულებს დაიცავენ ვექილები ნ. ელიავა და ივ. კაჩუხოვი.

✦ **ვაჭრების ცემა.** ოზურგეთიდან „ბატ. იზვ."-ს დეპეშით ატყობინებენ: „ქალაქის ბოქაულმა, გადასახადის გადაუხდელობისა გამო, ძალზედა სცემა ქალაქის დუქნების მოიჯარადრეებს. ნაცემებმა დეპეშა გაუგზავნეს ქუთ. გუბერნატორს და სთხოვეს დაიცვას ისინი ძალმომრეობისაგან და დანიშნოს გამოძიება".

✦ **სიკვდილით დასჯა.** 3 სექტემბერს, დილის 5 საათზე, საგუბერნიო საპატიმროში სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი კონსტანტინე ევსეევს. მას მკვლელობა ჰბრალდებოდა.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.** ქუთაისის გუბერნიის დაბა ჩხარში საფოსტო განყოფილება გადაკეთდა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებად.

✦ **პროფ. მარრი ლაზისტანში.** როგორცა ვწერდით, აკადემიკოსი მარრი ოსმალეთს მიდის ლაზურ ენის შესასწავლად. მარრი უკვე წავიდა ლაზისტანში, სადაც იგი სექტემბრის გასვლამდე დარჩება.

✦ **თათრული წიგნების მაღაზია.** ტფილისის აბანოებისაკენ, თათრების უბანში, თათრული წიგნის მაღაზია გახსნეს, სადაც ჰყიდიან სხვა და სხვა წიგნებს და გაზეთებსაც. ამ მაღაზიაში ქართულ წიგნებსაც იღებენ გასასყიდად. ეს მაღაზია პირველი მაგალითია ტფილისში. პირველი თათრული სტამბა საქართველოში ტფილისს 1880 წ. გაიხსნა და პირველი თათრული გაზეთიც „ზიაც" მაშინ გამოვიდა.

✦ **სამშობლო ენის აღკვეთა.** ქართველ მაჰმადიანთა შორის ქობულეთის, აჭარ-წყლის, ქედის და მარადიდის სკოლებში ქართულ ენას და წერა-კითხვას არ ასწავლიან. ასწავლიან რუსულს, როგორც სახელმწიფო ენას, და ოსმალურს, როგორც მათ სჯულის ენას. ყმაწვილებმა კი ქართული ენის გარდა სხვა ენა არ იციან.

✦ **კურთხევა.** ხვალ, 5 სექტემბერს, აკურთხებენ ახალს სადგომს ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლისას (საპიორნი ქუჩა, № 18). კურთხევაზე მიწვეულნი არიან წარმომადგენელნი სხვა და სხვა საზოგადოებისა.

✦ **პოლიციელის მოკვლა.** 2 სექტემბერს, საღამოს ასე 10 საათი იქნებოდა, რომ სიონის ქუჩაზე აფრიკიანის ქარვასლასთან მიმავალ გოროდოვოის არუთინ არუშანოვს ორმა უცნობმა რევოლვერი ესროლა და არუშანოვი სასიკვდილოდ დასჭრა. სროლის დროს შემთხვევით დაიჭრა სოფელ მთაწმინდის (ქართლი) მცხოვრები კონსტანტინე ჩაჩანიძე (19 წ.). დაჭრილები მ. ხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. უცნობები მიიმალნენ. მე-5 ნაწილის პოლიციამ ალყა შემოარტყა აღნიშნულ უბანს. კალაკოლნი ქუჩაზე პოლიციელებმა დააპატიმრეს ანდრია ოქრუაშვილი, ხოლო სომხურ საქველმოქმედო საზ. სახლის ფეხის ადგილში—სპარსეთის ქვეშევრდომი არსენ ხაჩატურიანცი. გაჩხრეკის დროს დაპატიმრებულთ იარაღი არ აღმოაჩნდათ. ეჭვით დააპატიმრეს სპარსეთის ქვეშევრდომი ბაგრატ მოსესიანცი. ეს უკანასკნელი ეხლა ჩამოსულა თავრიზიდან, სადაც სათარ-ხანის რაზმში მოქმედებდა. იქვე დააპატიმრეს მეოთხე კაცი—ნახიჩევნელი არამ ტერმიქაელიანცი. პოლიციის ცნობებით, ოქრუაშვილი ერთ მსროლელთაგანად იცნეს.

✦ **საიდუმლოდ საქონლის დაკვლა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ მიიღო ცნობა, რომ დიდუბეში ყასაბი ალიხანოვი ჩუმად ჰკლავს საქონელს და შეუმოწმებელ ხორცს ასაღებსო. სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებმა შეამოწმეს დიდუბის ქუჩაზე დიტრიხის სახლში ალიხანოვის ხორცით სავაჭრო დუქანი და აღმოჩნდა, რომ ალიხანოვი მართლა საიდუმლოდ ჰკლავდა საქონელს და ასაღებდა. დაკლულ ცხვრების თავფეხი და შიგნეული ალიხანოვს ტაჭკაში ჩაეყარა და ზედ ნაგავი დაეყარა. ალიხანოვს სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ოქმი შეუდგინეს და პასუხისგებაში მისცეს.

✦ **კანცელარიის გადატანა.** ტფ. გუბერნატორის კანცელარია 1 სექტემბერს გადაიტანეს ახალ ბინაზე, ბებუთოვის ქუჩაზე დავიდოვის სახლში.

✦ **თეატრი.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მიანდო გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგს მოაწეროს ხელი თეატრის საიჯარო ხელშეკრულებას. გამგეობამ დაადგინა, დეკემბერს თეატრი გადასცეს ვოლენტეტის საოპერეტო დასს. გამგეობამ ქართულ თეატრის ადმინისტრატორად აირჩია ვ. გუნი-ა, რომელიც კვლავ ტფილისში დარჩება.

✦ **ქართული სკოლა ბაქოში.** წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ბაქოს განყოფილებისაგან ცნობა მიიღო, რომ 20 სექტემბრიდან განყოფილება ბაქოს ქართველებისათვის აარსებს პირველ-დაწყებით სასწავლებელს ორის განყოფილებით. მთავარ გამგეობას სენაკიდანაც მოუვიდა ცნობა საზოგადოების განყოფილების გამგეობის [illegible] 30 აგვისტოს სენაკის განყოფილებას უკურთხებიათ სადგომი, რომელშიაც მოთავსებულია საზოგადოების ბიბლიოთეკა. კურთხევას ბევრი ხალხი დასწრებია

✦ **მეტეხის ციხის სამკითხველოსთვის.** გორიდან ბ-ნ სანდრო გძელიშვილისაგან მეტეხის ციხის სამკითხველოსთვის მივიღეთ: „ძვირად დაჯდა", თარგმანი, „კოოპერატიული მოძრაობა ბელგიაში", დეიჩერისა, „თავისუფლებისთვის მებრძოლნი", თარგმანი, „ახალი ქადაგება", „ძირს ლოთობა", ტოლსტოისა, „გზა სოციალიზმისკენ", სორსკისა, ნ. ბარათაშვილი, „ქუჩაში მოვაჭრე ქალი", ეზისა, „ზანგის სამკვიდრო", თარგმანი, „ქვის მტვრეველი", იზიძე, „დედის განსაცდელი", ლექსები, „რევოლიუციონური უმცირესობა", კროპოტკინი, „ჩვენი ძველი გმირები", გ. წერეთლისა.

✦ **კონცერტი.** დღეს, 4 სექტემბერს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში გაიმართება კონცერტი საპატიმროების სამკითხველო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, სომეხი და რუსი საკონცერტო ძალები. როგორც ვიცით მეტეხის ციხისა და საგუბერნიო საპატიმროს სამკითხველოებში ქართული და სომხური განყოფილებანი საშინლად ღარიბია.

✦ **საქველ-მოქმედო სეირნობა.** სამშაბათს, 8 სექტემბერს, პროექტორის „მუზას" ბაღში, მიხეილის პროსპექტზე, გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების სასარგებლოდ. სეირნობის პროგრამა საინტერესოდ არის შედგენილი.

✦ **ტფილისის წარმომადგენლის გაგზავნა ეჩმიაძინში.** გუშინ 3 სექტემბერს ხმოსანმა ამბარცუმ არაქელიანმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში და ითხოვა შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ ტფილისმა ეჩმიაძინში გაგზავნოს ორი წარმომადგენელი 13 სექტემბერს სომეხთა კათალიკოსის მირონის ცხებაზე დასასწრებლად. ქალაქის გამგეობამ ეს მოხსენება

# შეთანხმების იმედი

**(1903 წლიდან—1909 წლამდე).**

**8** *).

ბ-ნი ჩხენკელი არ იწუნარებს თავის პარტიის ეროვნულ პროგრამას და აღიარებს, რომ ამიერ-კავკასიის საოლქო თვით-მმართველობის დაწესება შესაწყნარებელი არ არის, დღევანდელ პირობებში მაინც. იგი წინააღმდეგია საოლქო თვით-მმართველობისა ორის მოსაზრების ძალით. „როდის დავეკითხეთ,—ამბობს ავტორი,—ამიერ-კავკასიის ხალხებს, სურთ თუ არა მათ დაექვემდებარონ საოლქო დემოკრატიულ კრებას და მის აღმასრულებელ ორგანოებს... სანამ ამიერ-კავკასიის ყველა ხალხნი არ მიეკედლებიან საოლქო თვით-მმართველობას, მანამ უკანასკნელი **სახვალიოთ** გეგმათ იქნება და არა სადღეისოდ. საჭიროა გადაჭრით ითქვას ესაო". [1]) ამ სიტყვებში საკვირველი რამ ირკვევა. რუსეთის ს.-დემოკრატიული პარტია ინტერნაციონალურ ნიადაგზე სდგასო, გვარწმუნებდნენ აქამდის, და, თურმე ნუ იტყვით, დღემდე არც კი დაჰკითხებიან იმ ერებს, რომელთათვისაც ეროვნულ პროგრამებს სთხზავდნენ. ბ-ნ ჩხენკელის მოწმობით ს-დემოკრატიულ პარტიის ინტერნაციონალისტობა ძლიერ საეჭვო რამ არის. მეორე მოსაზრება, რომელიც მოჰყავს ჩვენს ავტორს საოლქო თვით-მმართველობის წინააღმდეგ, არის ამ დაწესებულების უდროობა. „სოციალ-დემოკრატია რაც უფრო მეტს დაუახლოვდება ცხოვრების სიღრმეს, ამბობს ის,—მით უფრო ნათლად დაინახავს ამიერ-კავკასიის ხალხების ერთი მეორისაგან ღრმა განსხვავებას და მათგან შემდგარ საოლქო მართველობის უდროობასაო". [2]) ესეც საგულისხმოა. ეროვნული პროგრამა უკვე ხუთი წელიწადია შემუშავებულია და მხოლოდ ეხლა დაინახეს, რომ იგი ცხოვრების სიღრმეს მოშორებულია და უდროვოა. „როგორ გინდათ შეაგუოთ, ამბობს ავტორი, მწყემსის, კაჟიან თოფით მონადირის, მექარავნის, სირაჯის, მევახშის, კაპიტალისტის, პროლეტარის, მიწის მუშის, ბეგის, ფაფანაკიან თავად-აზნაურის, მილასი, ტერტერასი, ხუცესის და ინტელიგენციის წარმომადგენელნი, თუ ისინი ამავე დროს სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენო[3])". „ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმი სამწუხაროდ დღეს დღეობით „ბაბილონის გოდოლ" გამოდგება, სადაც შული თვით საქმეთ იქცევა და მოღვაწეობა არარადო[4])".

ეს ხომ ასეა, მაგრამ საოლქო თვით-მმართველობა, ბ-ნ ჩხენკელის აზრით ქართველებისათვისაც ძლიერ მავნებელი რამ იქნება. „ქართველ ერისთვის,—ამბობს იგი,—პირდაპირ **საზარალო და უხერხული** იქნება, თუ სწავლა-განათლება, კულტის დარგი საოლქო სეიმს მიენდო... ქართველებისთვის გაცილებით უკეთესია ხსენებული დარგი საიმპერიო პარლამენტს დაეკისროს, ვინემ საოლქო სეიმს. რატომ? იმიტომ რომ მოშორებული ცენტრალიზმი გაცილებით ნაკლებ ზიანს მიაყენებდა მათ ეროვნულ აღორძინებას, ვინემ მახლობელი ცენტრალიზმი[5])".

მაშ რაღა უნდა გვეშველოს, იკითხავს მკითხველი? ჯერ იძახდნენ ავტონომია არ გინდათო, საოლქო თვითმართველობაში იქნება დაკმაყოფილებული ყოველი თქვენი საჭიროებაო, და ეხლა-კი გვიცხადებენ, ეს საოლქო თვით-მმართველობაც ჭირი და შხამი იქნება თქვენთვისო. მაგრამ ბ-ნი ჩხენკელი მოხერხებული კაცია და სასოწარკვეთილებას არ ეძლევა; „ქართველი ერი,—ამბობს იგი,—ჭეშმარიტად ღირსია და მომზადებულიც, რომ მან აიღოს პროგრესსის ალამი და დაიკმაყოფილოს თავის ეროვნულ-კულტურული მოთხოვნილებანი, ამისათვის იგი უნდა გახდეს კანონმდებელიც და აღმასრულებელიც, არც მეტი არც ნაკლებიო[6])". ეს ხომ ავტონომიის აღიარებაა, იტყვის გაოცებული მკითხველი. ამას თითქმის თვით ავტორიც ამბობს. იგი სწერს: „ქართველები თითონ უნდა განაგებდნენ ყოველ კულტურულ და აქედგან სოციალ-ეკონომიურ და ეროვნულ საქმეებს რეალურად ქართველის ხალხისაგან დასახლებულ ადგილებზეო". [7]) ავტონომია ამაზე მეტს არას ითხოვს. თუ ხალხი კანონმდებელიც არის და აღმასრულებელიც კულტურულ, სოციალ-ეკონომიურ და ეროვნულ საქმეებში და ისიც განსაზღვრულ ტერიტორიის სივრცეზე, ის ხალხი ავტონომიურად სცხოვრობს და მოქმედობს, მაგრამ შემცდარი იქნებით, თუ იფიქრებთ, რომ ამაზე დაგეთანხმოთ ბ-ნი ჩხენკელი. როგორც იმის წერილების სხვა ადგილებიდან სჩანს, იგი მომხრეა მხოლოდ კულტურულ ავტონომიისა: „სწავლა - განათლება კულტის დარგში, ქართული პარლამენტი ქ. ტფილისში უმაღლესი ინსტანცია არისო.[8]) აქ უკვე გამოტოვებულია სოციალ-პოლიტიკური ინტერესების ავტონომიურად დაკმაყოფილების საჭიროება და რისთვის დასჭირდა ავტორს სოციალ-პოლიტიკურ ინტერესებზე ლაპარაკი და მკითხველის შეცდომაში შეყვანა, ალაჰმა უწყის! სწავლა-განათლება და ეკლესია—აი, საფუძველი საქართველოს თვით-მართველობისა. ყოველივე სხვა მას არ უნდა ეკითხებოდეს,—ამისათვის არსებობს საიმპერიო პარლამენტი. ამაზე შორს ქართველ ცენტრალისტ ეს-დეკთა ნატვრა ეროვნულ საკითხში დღეს არ მიდის!

მაგრამ უნდა ვთქვათ მაინც, რომ ბ-ნ ჩხენკელის წერილები ქართულ ს.-დემოკრატიულ ლიტერატურაში საყურადღებო რამეს წარმოადგენს. საყურადღებოა არა მათის ნაკლულევანებათა გამო, არამედ იმ მხრივ, რომ ავტორი გადაჭრით და გაბედულად აღიარებს საქართველოს თვით-მართველ ერთეულის დაწესების საჭიროებას. მართალია, ეს თვით-მართველობა უფრო ერობას მიაგავს, მაგრამ დიდმნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ს.-დემოკრატიულ ლიტერატურაში ლაპარაკი იწყეს არა მარტო რუსეთის დეცენტრალიზაციის შესახებ, არამედ თვით ამიერ-კავკასიის დეცენტრალიზაციაზედაც. და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ ჩხენკელის თვით-მმართველი ერთეული, როგორც ვნახეთ, თვით ერობის კომპეტენციასაც აღემატება და მას ენიჭება კულტურულ ავტონომიის უფლებანი. მართალია ეს კულტურული ავტონომია საქართველოს პოლიტიკო-სოციალურ და ეროვნულ საჭიროებათ ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ, სიმართლე მაინც უნდა ითქვას, რომ დიდი საქმეა ისიც, რომ ს.-დემოკრატები დღეს საქართველოსთვის განსაკუთრებულ ერობათა დებულების შემოღებას ამტკიცებენ.

აღ ანიშნავია აგრეთვე საზღვრების საკითხი, რომელსაც ეხება ბ-ნი ჩხენკელი. საქართველოს თვითმართველობაში, მისის აზრით, უნდა შედიოდეს: ა) იმერეთი; 1) აფხაზეთი, 2) ოდიში სამურზაყანოთი, 3) სვანეთი, 4) ლეჩხუმი, 5) რაჭა, 6) ზემო იმერეთი, 7) ქვემო იმერეთი, 8) გურია, 9) აჭარა, 10) ბათუმი, 11) სოხუმი. ბ) ამერეთი: 1) ზემო ქართლი, 2) ქვემო ქართლი, 3) შიდა ქართლი, 4) მოხევეთი,(!) 5) ქიზიყი, 6) შიდა კახეთი, 7) გარეთ კახეთი, 8) მთიულეთი ან(!) ფშავ-თუშ-ხევსურეთი, 9) საინგილო და 10) ტფილისი.

ავტორის აზრით, ეს ჩამოთვლილი კუთხეები საქართველოს ერთეულში საშვალო თვითმმართველ ერთეულს ან მაზრას წარმოადგენენ. ჩვენ არ შევუდგებით აქ ერობის გეგმის განხილვას, ვიტყვით მხოლოდ, რომ ავტორი საქართველოს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას სწორედ ვერა ხმარობს. იგი **ხევს** მოხევეთს ეძახის და მის თვალში **მთიულეთი** და ფშავ-თუშ-ხევსურეთი ერთი და იგივე მხარეა, მაშინ როდესაც მთიულეთი ის მხარეა, რომელიც არაგვის ხეობაში მდებარეობს დუშეთიდან გუდაურამდე, ხოლო თუშ-ფშავ-ხევსურეთი თიანეთის მაზრაშია მოთავსებული. მაგრამ ეს წვრილმანია. საგულისხმო უფრო ის არის, რომ ავტორს არ შეშინებია და საქართველოს ფარგლებში ჩაუყოლებია ის ისტორიული ნაწილები ჩვენის ქვეყნისა, რომლებშიაც არა ქართველნი სცხოვრობენ და ზოგიერთში კიდეც სჭარბობენ ქართველ ელემენტს. სახეში გვაქვს აფხაზეთი, ზემო-ქართლი და საინგილო. ბ-ნ ჩხენკელს ეცოდინება, რომ ზემო ქართლის ნაწილს ძველად შეადგენდნენ სამცხე, საათაბაგო და ჯავახეთი. ჯავახეთში დღეს დიდი უმრავლესობა მცხოვრებთა რიცხვისას სომხობა შეადგენს, ხოლო საინგილო ნაწილია ზაქათალის ოლქისა, სადაც დიდძალი ლეკობა სცხოვრობს. ეს ითქმის აფხაზეთზე, სადაც ქართველები უმცირესობას შეადგენენ. თუ ჩვენი ავტორის გეოგრაფიული კლასიფიკაცია მის მიერ შეგნებულადაა წამოყენებული და არა მოუფიქრებლად, სომხითი ანუ დღევანდელი ბორჩალოც უნდა დაესახელებინა. ჩვენ ავტორს არ აშინებს მცხოვრებთა სიჭრელე; იგი ამბობს: „ჩვენში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ საქართველოს ეროვნულ სიჭრელეზე. მხოლოდ არავის ახსოვს, რომ ეს სიჭრელე, რამდენად სოფლები გვაქვს სახეში საზოგადოდ არ არის პიროვნულ—ატომისტური, ე. ი, სხვა და სხვა ერთა ელემენტები სულაც არ არიან სოფლებში ერთმანეთში დომხალივით არეულნიო"[9]). (აქ უნდა მოვაგონოთ ავტორს, რომ ჩვენში ამას ამტკიცებენ მხოლოდ საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგენი, უმთავრესად ს.-დემოკრატები ბ-ნ ანის მეთაურობით).

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს, ავტორი მათ შესახებ ამბობს: „არა ქართველების ერთეულები, რასაკვირველია, იმავე უფლება—მოვალეობით იქნებიან აღჭურვილნი, როგორც ქართველების წვრილი ერთეულები; მაშასადამე, ეროვნულად არ აქნებიან შევიწროებულნი... იქ, სადაც ქართველი სჭარბობს, მესვეურობა ქართველს ექნება, იქ სადაც არა ქართველი

1) იხ. „ხომლი" N 20,

2) ibid.

3) ibid.

4) „ხომლი" N 21

5) ibid.

7) „ხომლი" N 21.

8) „მერცხალი" N 3.

9) „ხომლი" N 29.

განიხილა გუშინდელსავე სხდომაზე და დაადგინა, 7 სექტემბერს წარუდგინოს საბჭოს ეს საკითხი.

✦ **უპასპორტოები.** პოლიციის მე-2 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 10 უპასპორტო კაცი; პოლიციის მე-10 ნაწილში ამავე მიზეზით დააპატიმრეს 6 კაცი.

✦ **ექსარხოსის მოადგილე.** ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი 1 სექტემბერს შეუდგა საქართველოს ექსარხოსის თანამდებობის ასრულებას. იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი დაბრუნდა თავის ეპარქიაში.

✦ ლოპინის ქუჩაზე, პოლიციის მე-9 ნაწილში, 2 სექტემბერს შუადღისას, ჩამოინგრა კედელი ციციშვილის სახლისა, რომელიც ამას წინად დაიწვა. ამ სახლის ქვეშა სართულში სცხოვრობდა ქვრივი სიდონია ნიჟარაძე. ამ ოთახს კედელი დაეცა და ნიჟარაძე ქვეშ მოჰყვა. ცეცხლის მქრობელ რაზმმა დასახიჩრებული ქალი დანგრეულ სახლიდან გამოიყვანა და მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 2 სექტემბერს პოლიციას ცნობა მიუღია, რომ ვილაც უცნობი ქალი სხვა და სხვა პირს სთხოვს—ისეთი კაცი უშოვნონ, რომელიც შესძლებს ქიურდამირის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის შაპიროს მოკვლასაო. უცნობი ქალი მართა გამანოვისა დააპატიმრეს. ამბავი მართალი გამოდგა. ქალმა განაცხადა, მინდოდა შური მეძია, რადგან იმ მოხელემ შემაცდინა და ფეხ-მძიმე, ყოვლად უსახსროდ და უპატრონოდ მიმატოვაო.

✦ გუმბრის მაზრის სოფელ კაზარამათში დააპატიმრეს და ტფილისში ჩამოიყვანეს პეტროს ტერ-ტეროვი და მისი შვილი იაკობი (14 წლისა), რომელთაც ჰბრალდებათ გუმბრის საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებიდან გატაცებულ 4½% ქაღალდების გატაცება.

# მოწერილი ამბები

**ხაშური.** ვისაც რეაქციის გაბატონების ხანიდან მოხდომია ცხოვრება სოფელ ადგას, ნათლად წარმოიდგენდა, თუ რა სიძნელეს და ხიფათს წარმოადგენს პროვინციაში ცხოვრება. საოცარი და საკვირველია ის სულიერი მდგომარეობა სოფლის მცხოვრებისა, რომლის მხილველიც ვართ. სანიმუშოდ ავიღოთ ხაშური. ოდესღაც, განმანთავისუფლებელ ხანაში ხაშური ცენტრი იყო მოძრაობისა, დღეს კი რას ვხედავთ? მეტად სამწუხარო სურათს: აღფრთოვანების, ზეაღმაფრენის ნაცვლად დაჩრობა, ზნეობრივი დაცემა, რაც სავსებით გამოიხატა ჯაშუშობა—ენის მიტანაში. დასმენამ და ენატანიობამ უმაღლეს საზღვარს მიატანა და კაცმა არ იცის, საიდან რა განსაცდელი მოელის.

ხაშურში მოსახლეობს კონდუქტორი განო ორჯონიკიძე. ვიღაცას უცნობებია სადაც ჯერ არს, ვითომ ამ უკანასკნელის სახლი გაგარდნილ რაზმელების თავშესაფარი იყოს და ვითომ თვით ორჯონიკიძეც რაზმს ჩუმად ხელმძღვანელობსო. ერთ ღამეს ორჯონიკიძე გაჩხრიკეს. ამ დროს თვითონ ორჯონიკიძე სამსახურში ყოფილა, სახლში მარტო ცოლს სძინებია. ხმაურობა-ყიჟინზე ქალი ძალზე შეშინებულა. რასაკვირველია ვერაფერი ნახეს.

როდესაც ადამიანი ხაშურზე ლაპარაკობს, უნებლიეთ რკინის გზა აგონდება თავის ახალ წესებით და სისასტიკით. გააძლიერეს კანტროლი. წესით „კანტორჩიკიდან" მოკიდებული, ყველას ნება აქვს რევიზიისა...

*უიმედო.*

—

**გარეთ-კახეთი.** ამ ზაფხულს გარეთ-კახეთს გამოფხიზლება დაეტყო. ზოგიერთა სოფელში ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზდობა უმართავდა ხალხს წარმოდგენებს და კითხვებს. სხვათა შორის ს. საგარეჯოში ამ ზაფხულს გაიმართა ორი წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ. პირველად წარმოადგინეს ცაგარელის პიესა „ციმბირელი". წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. ხარჯებს გარდა დარჩა 50 მანეთი, რომელიც გადაიდო ადგილობრივ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ. მეორე წარმოდგენა გაიმართა 27 მკათათვეს. წარმოადგინეს იერემია გუდისაშვილის პიესა „ცხოვრება ბრძოლაა". ამ წარმოდგენამაც გვარიანად ჩაიარა. აქაც ხალხი ბლომად დაესწრო. შემოვიდა სულ 55 მანეთი. სანამ პიესას დასდგამდნენ, გაიმართა აქაურ ინტელიგენტთა შორის კამათი, თუ რას უნდა მოხმარებოდა შემოსავალი. ბოლოს დაადგინეს, ისევ წიგნთსაცავ სამკითხველოსთვის გადადებულიყო.

ორიოდე სიტყვით უნდა გაგაცნოთ მკითხველს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების აქაურ სკოლის საქმის მდგომარეობა. იანვრის 20 რიცხვს აქ დაიარსა სკოლა 120 კომლმა აზნაურმა და სასულიერო წოდების პირმა. სკოლა დაუქვემდებარეს ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. დაადგინეს, მასწავლებელს თვეში სამი თუმანი მისცემოდა, ბინა და შეშა შემდეგ შემოსავლიდან: საწევრო ფული სამი მანეთი დაადგინეს წლიურად; ზოგიერთმა შეძლებულმა წევრმა აღუთქვა სკოლას დახმარება 10—20 მანეთით წლიურად; ვისი შვილიც ისწავლიდა ამ სკოლაში, მას უნდა გადაეხადნა სასწავლო ფული სამი მანეთი, თუმცა იგი წევრიც ყოფილიყო. მოიწვიეს მასწავლებელი და დღემდის საქმეც კარგად მიდიოდა, მაგრამ ჩვეულებრივმა ინდეფერენტიზმმა აქაც იჩინა თავი. წევრთა უმრავლესობამ საწევრო ფული არ შეიტანა. როდესაც მასწავლებელმა მოსთხოვა მოწაფეთ სწავლის ფული, ზოგიერთი მოწაფე სკოლიდან გაიქცა. აგერ გადის სამი თვე და არც ერთი თვის ჯამაგირი არ მიუღია მასწავლებელს.

*ბქაური.*

—

**ახალ-სენაკი.** დიდი ხანია, რაც სამკითხველოს გახსნას ვცდილობთ, მაგრამ არ მიეცა დასასრული ამ საქმეს. არჩეული კაცები, მიუხედავად იმისა, რომ 700—800 მანეთამდე ფული უკვე მოგროვილია, თავს არ იტკენენ ამ საქმის დაჩქარებისათვის. ხაშიროა თვით არჩეულებმაც და, საზოგადოდ, სენაკის საზოგადოებამაც დააჩქარონ სამკითხველოს დაარსება.

სენაკის ახლო-მახლო სოფლებში ნამეტან გოლვებისაგან ჭები ამოშრა და ახლო მცხოვრებნი მდინარე ტეხურით სარგებლობენ. ვისაც ჭაში წყალი კიდევ დარჩენია, ძალზე იზოგავს. ძლიერ შეწუხებულნი არიან ამის გამო სოფლები. სიცხე 38 გრადუსამდის ადის. ავადმყოფობაც გახშირდა. არის მუცლის ტკივილი, რომელმაც ბევრი ბავშვები იმსხვერპლა. საზოგადოდ, საოცარი გვალვებია.

*პაერი.*

—

**ახალციხე-ჯავახეთი.** როგორც გავიგეთ, ახალციხის პროგიმნაზიის საქმე წყლულობით არახორციელდება. ამბობენ, თუ სისრულეში არ მოიყვანეს შუთაძოვის ანდერძი, რომლითაც 25 ათასი მანეთი ყოფილა შეწირული გიმნაზიისათვის, კავკასიის ოლქის მზრუნველი პროგიმნაზიის გახსნის ნებას არ იძლევაო.

ამას წინად ვწერდით, რომ არდელებმა განაჩენით დაადგინეს და მე-3 რაიონის სახალხო ინსპექტორს სთხოვეს, ეშუამდგომლა მთავრობის ხარჯით სამინისტროსთან 1 კლასიან სასწავლებლის დარსების შესახებ. როდესაც სახალხო სკოლების დირექტორმა დააბრუნა განაჩენი შესამოწმებლად, უდის საზოგადოების მამასახლისმა თავისით მოსწერა დირექტორს, არდელებს აღარ სურთ სასწავლებელიო!.. იმიტომ ქნა ეს, რომ თუ ს. არალში გაიხსნა სასწავლებელი, მაშინ უდის სკოლას აღარ შეეწევიან 30-40 მან. მამასახლისის მოქმედებისა გამო გამოძიება სწარმოებს.

ხიზაბავრაში შემდეგი ამბავი მოხდა. გავლილ თვეში ს. მანანაძორმა ცემით მოჰკლა თავისი რძალი. აი საქმის ვითარება: დედამთილს თურმე რძალი თავიდანვე სძულებია. შვილის (რძლის ქმრის) შინ არ ყოფნის დროს იმდენი უცემია კეტით კარჩაკეტილში, რომ მოუკლავს. მკვლელობის თავიდან ასაცილებლად, მოკლულისათვის თოკი წაუჭერია ყელში და გარედ საცხვარეში ჩამოუკიდნია; თვითონ გამოვარდნილა და მოურთავს ყვირილი; მიშველეთ, ჩემ რძალს თავი ჩამოუხრჩვიაო. გამოძიებას ბრალდებულად დედამთილი უცვნია. იგი დააპატიმრეს. დედამთილი თურმე ხშირად სცემდა ხოლმე რძალს. როგორც შინაურები, ისე მთელი სოფელი აღელვებულია ჯალათობით.

შარშანაც ვწერდით, რომ ხიზაბავრელებმა სკრაში ბანკის მამული იყიდეს ათას მანეთად და 30 კომლი უნდა გადასახლებულიყო. ფული 15 ათასი მანეთი უკვე შეტანილი აქვთ და დანარჩენსაც ახლა სთხოვენ, მაგრამ ჯერ ვერ მოახერხეს გადასახლება, რადგან იმდენი შეძლება არა აქვთ, რომ სახლები გაიკეთონ და ამის გამო აღარც აქ არიან, აღარც იქ: თავიანთი მამულები გაჰყიდეს და ვერც წასვლას ახერხებენ, ვერც დარჩენას. კარგი იქნებოდა, ბანკს გაედიდებინა დარჩენილი ფულის შეტანის ვადა, ან მიეცა მათთვის სახლების აგების შეძლება, რომ ამზამთარს მაინც მოეხერხებინათ გადასახლება. სწორედ „ორ ცეცხლშუა"-ო, რომ იტყვიან, ესენი ჩავარდნენ.

ამ ჟამად მთელ ჯავახეთში კალოობაა გაჩაღებული. როგორც ჭირნახული, ისე თივა-ბზე კარგია აქეთ. ხიზაბავრის ვენახებსაც კარგა ბლომად ასხია ყურძენი. სხვა ხილი კი ნაკლებად არის.

*ქ. გვარამაძე.*

# სოფელი და ქალაქი

ერთ მიყრუებულ სოფლიდან ნაცნობი გლეხი მეწვია ტფილისში. დიდი ქალაქი თავის დღეში არ ენახა. გავიარეთ ქალაქის მთავარ ქუჩებზე, სადაც დიდი მოძრაობა იყო გაჩაღებული. უცხო სანახაობამ გაიტაცა ჩემი სტუმარი: თვალებს იქით-აქეთ აცეცებდა და ბოლოს, რამდენსამე წუთის შემდეგ, დამეკითხა, ერთი მიბძანეთ, რასა სჭამს, რითა სცხოვრობს ეს ამოდენა დიდკაცობაო?

გულ-უბრყვილო შეკითხვა ადვილი ასახსნელი იყო. ჩემი სტუმარი თავის სოფელში თვალ-წინ ჰხედავდა იმ ყანებს, რომლის ნაყოფით, პურით, ადამიანს სული უდგია. ქალაქში კი იგი უზარმაზარ სახლებისა და ქვა-ფენილ ქუჩების მეტს ვერაფერს ჰხედავდა და ვერ მიმხვდარიყო, რასაკვირველია, რომ რაღაც მანქანების საშუალებით მთელი ეს ქუჩაში მოძრავი დიდკაცობა იმ პურით საზრდოობდა, რომელიც თვით მას, გულ-უბრყვილო გლეხს, სოფელში თავის მარჯვენით მოჰყავდა.

ჩემი სტუმრის გულ-უბრყვილობა წმინდა და გულ-წრფელი იყო და არა ჰგავდა იმ ვაჟბატონთა გულ-უბრყვილობას, რომელნიც ერობის შესახებ მსჯელობის დროს ამტკიცებდნენ, ქალაქის შემოსავალი სავსებით ქალაქს უნდა მოხმარდეს, სოფელმა კი, როგორც სურს, ისე იტეხოს თავიო.

მთელი ქალაქი სოფლის ნაშრომითა სცხოვრობს. ქვა, ხე, ყოველნაირი სანოვაგე და ტანისამოსი, რომელიც უპირველეს მასალას შეადგენს ქალაქელთა ბინებისა და სმა-ჭამა-ჩაცმა-დახურვისათვის, იმ მიწის ნაყოფია, რომელსაც გლეხის მარჯვენა ამუშავებს. ქალაქელი კაცი შეეჩვია იმ აზრს, რომ იგი ქალაქში ჩამოტანილ პურში ჩამომტანს ფასს აძლევს; ამიტომ ჰფიქრობს, რასაკვირველია, რომ იმისა და გლეხს შორის სამართლიანი გაცვლა-გამოცვლაა ნივთიერებისა, ჭეშმარიტი აღებ-მიცემობა სწარმოებს. გლეხი მაძლევს პურს, მე ვაძლევ ფულს. ქვით,—მორჩა და გათავდა!

ქალაქელ კაცს ფიქრადაც არ მოსდის, რომ პური დაუფასებელი რამ არის, რომ პურის ფასის გამორკვევა და დაწესება შეუძლებელია. როგორ უნდა დააფასოს კაცმა ის შრომა, რომელიც გლეხმა მიწის დახვნის დროს გასწია, ის მწუხარება, რომელსაც იგი განიცდის ზამთარ-ზაფხულ იმის გამო, რომ თავის უპირველეს შემწესა და ამხანაგს, საქონელს, დიდის გაჭირვებით ჰკვებავს? როგორ უნდა დაფასდეს გლეხის მუდამ ჟამს გამოურკვეველი, ორჭოფი მდგომარეობა იმის გამო, რომ იმისი სვე-ბედი, იმისი მოსავალი დარზე ან ავდარზეა დამოკიდებული? როგორ უნდა დაფასდენ ზაფხულში, პაპანაქება სიცხეში მკა, მოსავლის შეგროვება და ლეწვა, ცხარე მუშაობა და ჭაპან-წყვეტა. იმ ცხარე ოფლს, რომელიც წურწურით ჩამოსდის ამ ჯოჯოხეთში მყოფ ადამიანს, განა ფასი დაედება? პურის ფასს ხომ ბაზარი აწესებს, უგულო, უსულო და უწყალო ბაზარი, რომელსაც არც შენი გაჭირვება ესმის, არც შენი ვაება და კბილთა ღრჭენა; ბაზარი ცივია, როგორც იმ ქალაქელ მოღვაწეთა გული, რომელთაც სოფლის დარდი არა აქვთ და ყველაფერი ქალაქის აყვავებისათვის სურთ.

ადამიანი მიწის ნაყოფით სცოცხლობს, მიწის მუშაკი კი გლეხია. აქედან ცხადია, რომ ჩვენ, ქალაქელებს, გლეხის მარჯვენის წყალობით გვიდგია სული. ეს ჭეშმარიტება მზესავით ნათელია და იმისი უარყოფა—წმინდა სინიდისის მხილების უარყოფაა. სოფელი უქალაქოდ კარგად გაძლებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ გამქრალ ქალაქს თან გაჰყვება სოფლის მყვლეფელთა და გადასახადის ამკრეფთა ვეება რაზმი; ქალაქი უსოფლოდ კი ადრე დალევს სულს, რადგან რით უნდა იცხოვროს, როგორ უნდა გამოჰკვებოს ეს თავისი სული? ცივი ქვა და ხე, რომლიდანაც აშენებულია ქალაქი, ხომ არაფერი საჭმელია.

სოფელი უქალაქოდ კარგად მოუვლის თავის თავს, ბევრად უკეთ, ვიდრე დღეს, როცა სოფლის ნაყოფს უმთავრესად ქალაქი ჰყლაპავს. ქალაქი უსოფლოდ კი რაღაც უსუსური და დღე-მოკლე მოვლენა იქნება.

ნუ თუ ამ ჭეშმარიტების შემყურე ადამიანს ენა დაეძვრის იმის სათქმელად, რომ ქალაქი თავის ქერქში უნდა გაეხვიოს, მთელი თავისი შემოსავალი თითონ უნდა შეჭამოსო?

რით განირჩევა ამის მთქმელი ადამიანი იმ ხისაგან, რომელიც ფესვებით მიწის გულ-მკერდის წვენით სცოცხლობს, დედა-მიწაზე იზდება, იმის გულში ღრმად უდგია ფესვები და, მაღლა ზეცისაკენ ამაყად აყუდებული, ისევ ამ დედა-მიწიდან ამოტანილ მწვანე ფოთლების გვირგვინით იმოსება და შემდეგ ამ თავის მარჩენალ ლალას, გულ-უხვ დედა-მიწას ჩრდილსა ჰფენს, მზის შუქს გზას ულობავს იმისკენ: შენ ვინა ხარ, რა მოხელე ხარ, რომ მზის სხივებს ეწაფებიო? განა არ იცი, რომ მზის მთელი შარავანდედი, მთელი შუქი და სიმხურვალე მხოლოდ იმას ეკუთვნის, რომელიც ჩემსავით ამაღლდა და არა შენსავით უშნოდ დაბლაა გაშოთილიო.

*ილია ნაკაშიძე.*

# სპარსეთი

**ზენჯანელების მორჩილება.**

როგორც ვიცით, ზენჯანელები აჯანყდნენ ახალ წესწყობილებისა და ახალ მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობამ მათ დასამშვიდებლად ჯარის რაზმი გაგზავნა. ზენჯანელები შეშინდნენ, დეპეშით მორჩილება გამოუცხადეს მთავრობას და სთხოვეს დამსჯელ რაზმს ნულარ გამოგზავნითო.

**სპარსელ ყაზახთა დატუსაღება.**

თეირანის პოლიცმეისტრის ეფრემის წინადადებით იარაღი აჰყარეს და დაატუსაღეს სპარსელი ყაზახები, რომლებსაც ხალხი გაეცარცვათ იმ დროს, როდესაც რევოლიუციონერებმა თეირანი აიღეს.

**რეაქციონერების დატუსაღება.**

მთავრობამ ამ დღეებში კიდევ დაატუსაღა 6 გამოჩენილი რეაქციონერი, რომლებიც დიდს როლს თამაშობდნენ კონტრ-რევოლიუციის დროს.

**თავრიზის გუბერნატორის თხოვნა.**

თავრიზის ახალმა გუბერნატორმა მუხბირუს სალთანემ დეპეშით შეატყობინა მთავრობას, თუ ამ მოკლე ხანში 500 ათას მანეთს არ გამომიგზავნით, ძლიერ გამიჭირდება აქაურ საქმეების მოგვარებაო.

როგორც უკვე ვიცით, მთავრობამ დაუყოვნებლივ შეასრულა გუბერნატორის თხოვნა.

**ახალ შაჰის დაბადების დღე.**

თეირანში და მთელ სპარსეთში დიდის ამბით იდღესასწაულეს ახალ შაჰის დაბადების დღე. ასტარიდან ატყობინებენ „კასპი"-ს: არდებილის გუბერნატორმა მიატოვა ციხე და ქალაქში გადასახლდა. ციხე კავკასიელ რევოლიუციონერების ხელშია.

# თეატრი და ხელოვნება

**სურამი.** 23 მარიამობისთვიდან იწყო ფაქტიური არსებობა ადგილობრივმა ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ. ახალ საზოგადოების დედაძარღვს შეადგენს იაფ-ფასიან, სახალხო წარმოდგენებით, სულიერ საზრდოს მიწოდება ხალხისთვის, მისი ესტეტიური და გონებრივი განვითარება.

პირველი საგულისხმიერო ნაბიჯი საზოგადოებისა აღინიშნა დასის შედგენით, ვინაიდან განზრახულია მთელი წლის განმავლობაში შეუწყვეტლად წარმოდგენა-საღამოს გამართვა, რაც ახალ ხილად უნდა ჩაითვალოს სურამისთვის. ახლად დაარსებულ დრამატიულ ამხანაგობის წყალობით 23 მარიამობისთვეს გაიმართა სადღესასწაულო სახალხო წარმოდგენა. ეს წარმოდგენა, სხვათა შორის, მით იყო არაჩვეულებრივი, რომ მახლობელ სოფლებში გაიგზავნა გლეხ-კაცებისთვის უფასო ბილეთები. ამ დღისთვის ორი მიზეზის გამო დასდგეს ჭონქაძის მოთხრობიდან პიესად გადაკეთებული „სურამის ციხე". პირველი მოსაზრება—პიესის შინაარსს ახლო კავშირი აქვს სურამთან, რაიც, ეჭვს გარეშეა, უფრო დააინტერესებდა გლეხ-კაცებს და სურამელებს, მეორე —ისტორიული პიესის მოსმენა, განსაკუთრებით, ადვილ გასაგებ და მარტივ სიუჟეტიანის, უფრო ნაყოფს გამოიღებდა. ერთიც და მეორე მოსაზრებაც სავსებით გამართლდა: ჯერ ერთი—იმდენი ხალხი მოაწყდა წარმოდგენას, რომ ბევრი ადგილის უქონლობისა გამო, უკან დაბრუნდა; მეორე—დარბაზში ყოველ კუთხიდან ქვითინი გაისმოდა, რაიც მოწმობდა იმას, რომ მაყურებელთ გულის სიღრმემდის ჩაწვდათ ნანახი. გლეხებისთვის, როგორც ვიცით,

---

სჭარბობს, მესვეურობაც არა ქართველს დარჩებაო".[10]) აქაც უნდა მოვაგონოთ ბ-ნ ჩხენკელს, რომ როდესაც ამგვარ აზრებს ს.-ფედერალისტები აღიარებენ, მათ შოვინისტებს უწოდებენ და სხვა ერების დაჩაგვრის წადილს სწამებენ, ეხლა კი თვით ს.-დემოკრატი აღიარებს, რომ საქართველოში მესვეურობა ქართველების ხელში უნდა იყოსო. ესეც საგულისხმოა, თუმცა არ უნდა დაივიწყოთ, რომ ამგვარ გულუხვობას ჩვენი ავტორი იჩენს არა ავტონომიურ საქართველოს მესვეურობის საკითხში, არამედ საქართველოს ერობის ფარგალში. რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას, აქ ბ-ნი ჩხენკელი ისევ ძველ ნიადაგზე სდგას; მის გახსენების დროს საზარლად კბილებს აკრაჭუნებს და მწვეტ პრჭყალებს უმიზნებს თავის მოწინააღმდეგეებს.

მკითხველი იკითხავს, ყველა კარგი, მაგრამ რა აქვს სათქმელი ბ-ნ ჩხენკელს ავტონომიის წინააღმდეგ? რაზე ემყარება იგი, როდესაც უარჰყოფს მას? ჩვენი ავტორის ნაწერები უცნაურ მასალას იძლევიან ამ კითხვის გასარკვევად.

ჩხენკელი, რასაკვირველია, იმ ავტონომიის წინააღმდეგია, რომელსაც აღიარებენ ს.-ფედერალისტები, თითქოს ავტონომია ერთხელ და სამუდამოდ მეცნიერების მხრივ განსაზღვრული მცნება არ იყოს ს.-ფედერალისტების სახელმძღვანელოდაც და ბ-ნ ჩხენკელის შესათვისებლადაც. ჩვენი ავტორი კი იმ აზრისაა, რომ ს.-ფედერალისტების ავტონომია ერთია და მისი, ბ-ნ ჩხენკელის კი,—მეორე. თურმე ნუ იტყვით, ს.-დემოკრატები იმიტომ ყოფილან ავტონომიის წინააღმდეგნი, რომ მათ ყოველთვის ფედერალისტების ავტონომია ჰქონდათ მხედველობაში: „ასე წარმოიდგინეთ,—ამბობს ბ-ნი ჩხენკელი,—გარეგნულად ჩვენ ფედერალისტების გავლენის ქვეშა ვართ; როცა ავტონომიაზე ბაასი ჩამოვარდება, ჩვენ მუდამ ფედერალისტების ავტონომიასა ვგულისხმობთ, თითქოს მათი განმარტება მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა იყოსო".[11]) რა არ მოსწონს ფედერალისტების ავტონომიაში ბ-ნ ჩხენკელს, იკითხავს მკითხველი? ისა რომ, „ფედერალისტთა ავტონომიური საქართველო **უაღრესად** ცალკე სახელმწიფოაო",[12]) გვიხსნის იგი. აქ საგულისხმოა სიტყვა უაღრესად. დღემდე ცნობილი იყო, რომ რაც გინდ ფართო უფლებანი ჰქონდეს ავტონომიას, იგი მხოლოდ და მარტო შემცირებული და შეკვეცილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა. ჩვენი ავტორი კი ხაზს უსვამს უაღრესობას და ჰგონია, რომ მეცნიერულის საზომით ზომავს ხსენებულს მოვლენას. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორი არავითარ ორიგინალობას არ იჩენს და აღიარებს მხოლოდ ამხანაგებისაგან მემკვიდრეობით შეთვისებულ ხერხს, რომ როგორმე და რანაირადმე ს.-ფედერალისტები სეპარატიზმის მომხრეთ გამოაცხადონ. სეპარატიზმი კი, ე. ი. ერის **სრული** დამოუკიდებლობა და მის მიერ ცალკე სახელმწიფოს დაარსება ხომ ისეთი რამ სამარცხვინო და სათაკილოა რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობის თვალთსაზრისით გამსჭვალულ ჩვენებურ ეს-დეკებისათვის, რომ ამ სიტყვით ლანძღვაც კი ეხერხებათ. აი, ხედავთ, „უაღრესის სახელმწიფოს" დაარსება უნდათ და ქვეყანას ატყუებენ, ავტონომისტები ვართ და რუსეთის ქვეშევრდომობაზე ხელს არ ვიღებთო. ესეთია ახალი ვარიანტი დაბეზღების მსგავს საბუთისა ავტონომიის წინააღმდეგ! ს.-ფედერალისტთა ავტონომია სეპარატიულ სახელმწიფოს მსგავსი ორგანიზაციაა, ბ-ნ ჩხენკელის ფართო თვითმართველობა კი, როგორც თითონ ამბობს, „სავსებით დაფუძნებულია **საიმპერიო, სახელმწიფურ, მოქალაქობრივ კანონებზე**, იგი **უაღრესად** თვითმართველია და პირველ ყოვლისა ასრულებს საიმპერიო კანონებს".[13]) ჩვენი ავტორი არც კი ჰგრძნობს იმ სამარცხვინო მდგომარეობას, რომელშიაც ის აყენებს „თვითმოქმედ" ერს, თვითმოქმედებას იგი საიმპერიო კანონების აღსრულებაში ჰხედავს. ამის შემდეგ სრულიად გასაგებია, როდესაც ავტორი ამბობს: „საქართველოს ერთეულსაც ავტონომია დაეძახება, მაგრამ იგი არამც და არამც არ არის ფედერალისტების ავტონომიაო".[14]) ეგ-ღა აკლდათ ს.-ფედერალისტებს, რომ ამ სწორედ რომ სათაკილო, პროგრამით გამოსულიყვნენ პოლიტიკურ ასპარეზზე!

ყველა ამასთან საყურადღებო კიდევ ის არის, რომ მიუხედავად ამისა, ჩვენი ავტორი, ერთის მხრივ ჰგმობს ავტონომიას, მეორეს მხრივ მასზე მაინც ხელი ვერ აუღია და დარწმუნებულ ადამიანის კილოთი გვიხსნის, რომ სათემო თვით-მართველობა იგივე ავტონომიაო. მართალია, მეცნიერება ამ ორ ცნებათა შორის დიდ განსხვავებას ჰხედავს, მაგრამ „ოფიციალურ მეცნიერების" აზრი აბა რა სახეში მისაღებია; მას ხომ მხედველობაში არ მიუღია ის თვით-მართველობა, რომელიც წამოყენებული აქვს სოციალ-დემოკრატიას. წაქეზებული ამგვარ მრუდე სოფიზმებით, ჩვენი მწერალი სერიოზულად გვიმტკიცებს: „ფართო თვით-მართველობა აუცილებლად გულისხმობს ავტონომიას; ავტონომია თავის მხრივ გულისხმობს ფართო თვით-მართველობას; მათი ერთმანეთის პრინციპიალურად დაპირდაპირება ყოვლად შეუწყნარებელიაო... „ნაციონალისტები,—განაგრძობს ავტორი,—განზრახ ამახინჯებენ ფაქტებს, როცა მათ ავტონომია გამოაქვთ ყველაფრად, ფართო თვით-მართველობა კი არაფრად; მათ შორის არ არის არსებითი „განსხვავება ეროვნულ კულტურის დაცვაში"-ო[15]). ეს ასეც რომ ყოფილიყო, ჩვენ ავტორს დაჰვიწყებია, რომ იგი ხომ დღევანდელ პირობებისთვის თვით სათემო თვითმართველობასაც უარყოფს და არ იწყნარებს. მაშ რად დასჭირდა მას ამ თვით-მართველობის განდიდება და გალამაზება ავტონომიურის სამკაულით! მის ნაწერებს ყოველი მორთულობა რომ გამოვაცალოთ და აქეთ-იქით ჩამოქარგული ეჟვნები რომ ავგლიჯოთ, მეტად ღარიბი სურათი გამოჩნდება: იგი ართმევს ერს ყველა პოლიტიკურ უფლებას და ერის სოციალ-ეკონომიურ ინტერესებს უქვემდებარებს საიმპერიო კანონების მექანიზმს. ერს ნებას აძლევს სკოლები გახსნას, და სასოფლო გზები გაჰკრას და ამ ჩხირკედელაობას „ავტონომიას" უწოდებს. ეს ავტონომია დაგვილოცნია ბ-ნ ჩხენკელისათვის და მის თანამოაზრეთათვის, ამ ჟამად კი მკითხველის ყურადღება მივაქციოთ სხვა ს.-დემოკრატებზე, ბ-ნ დ—ზე და ვნახოთ, როგორ უმასპინძლდება იგი ბ-ნ ჩხენკელის ავტონომიას და რა ცვლილება შეაქვს მას ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტაში.

*არჩილ ჯორჯაძე.*

---

10) ibid.

11) ibid.

12) ibid.

13) „ხომლი" N 21.

14) ibid.

15) „ხომლი", N 18.

უფასო ბილეთები გაიგზავნა. დანარჩენებისთვის-კი ფასი 20-50 კ.-მდე იყო.

წარმოდგენის დაწყებამდის აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდნენ საზოგადოების სულის ჩამდგმელნი და გამგეობა. გამგეობის სახელით გ. შალიბაშვილმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. ამ დღისთვის ტფილისიდან განზრახული იყო ქულაჯების და სხვა საჭირო სასცენო ნივთების დაბარება, ხაშურიდან კი—დეკორაციისა, ვინაიდან სურამის ნოდიასეულ „თეატრს" არ მოეძებნება ესენი, მაგრამ ვერ მოასწრეს. ამიტომ, მიუხედავად, მონაწილეთა კარგ თამაშისა განსაკუთრებით ასათიანის ქალის ვარდოს როლში და ვეზირიშვილის დურმიშხანისაში, პიესა მაინც შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, რადგან ოთხივე მოქმედება ერთსა და იმავე შპალერ გაკრულ ოთახში ხდებოდა. უკანასკნელ მოქმედებაში სურამის ციხის აშენება ოთახშივე ხდებოდა საჭირო დეკორაციის უქონლობისა გამო. იყო კიდევ რამდენიმე საგულისხმიერო ნაკლი. „სურამის ციხეში" გამოყვანილნი არიან შინაყმა ქალები, რომელნიც ტანისამოსით ეხლანდელ „მოდნის ბარიშნებს" უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ძველ დროინდელ ყმებს.

მიუხედავად აღნიშნულ ტეხნიკურ ნაკლისა, წარმოდგენამ საკმაოდ მწყობრად ჩაიარა და მიზანს მიაღწია, განსაკუთრებით ზურაბის კედელში ჩატანების სურათის ყურებამ დარბაზში ქვითინი გამოიწვია.

იმის მეტი არა დაგვრჩენია რა, რომ უსურვოთ ახლად გაფურჩქვნულ საზოგადოებას ხანგრძელი სიცოცხლე და ცხოველმყოფელი შემოქმედება.

იმედია საზოგადოება ხშირად გამართავს მომავალში იაფ ფასიანს სახალხო წარმოდგენებს. **ცაგ—ია.**

—

**თელავი.** ამ ზაფხულს ცოტაოდენ გასართობებს თელაველებიც ვღირსეხით. ქ-ნი ვოლოხოვისა თვეში ერთხელ-ორჯელ კონცერტს გვიმართავდა; ჩამოვიდნენ ქართული დრამატიული დასის არტისტები იმედაშვილი და ქივიძე და აქაურ სცენის მოყვარეებითურთ მართავდნენ წარმოდგენებს. ცოტად თუ ბევრად კარგად თამაშობდნენ და თელავის საზოგადოებას და მოაგარაკეებს ართობდნენ. შემდეგ მარიამობის თვეში გვესტუმრნენ ვანო სარაჯიშვილი, ცნობილი ტენორი, სკრიპკის დამკვრელი ქალი თამარა ძნელაძე და ვ. ურუშაძე. ამ კონცერტს დიდი ხალხი დაესწრო. მოვიდა ხალხი აგრეთვე ახლო-მახლო და შორეულ სოფლებიდან. თამარა ძნელაძემ დიდად ასიამოვნა დამსწრენი.

**პატარა ჩხიკვი,**

# რუსეთი

**✦ როგორ აირჩიეს ვოსტორგოვი.** ამ დღეებში მოსკოვის სამღვდელოებამ სახელმწიფო საბჭოს წევრის კანდიდატად აირჩია ჩვენში კარგად ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი. „რეჩს" მოსკოვიდან საინტერესო ცნობებს აწვდიან, თუ როგორ აირჩიეს ვოსტორგოვი. სამღვდელოების უმრავლესობას ვოსტორგოვის სახელის გაგონებაზე ზიზღი მოსდიოდათ. როდესაც ეს გაიგო ვოსტორგოვის მფარველმა-ანგელოზმა მიტროპოლიტმა ვლადიმერმა, მან დაიბარა ბლაღოჩინები და გამოუცხადა, ვოსტორგოვი უნდა აირჩიოთ, სხვის არჩევის ნებას არავის არ მივცემო. ბლაღოჩინებმა მიტროპოლიტის მოთხოვნა მღვდლებს გადასცეს და ეს უკანასკნელნიც ძალაუნებურად დაეთანხმნენ მიტროპოლიტს და ვოსტორგოვი აირჩიეს.

**✦ პურიშკევიჩი.** პურიშკევიჩი აკერმანის გიმნაზიის საპატიო მზრუნველია. მას გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოსთვის წინადადება მიუცია, წლეულს ებრაელებს ნუღარ მიიღებთ, ისედაც ბევრნი არიანო. საპედაგოგიო საბჭო დასთანხმებია პურიშკევიჩს და დაუდგენია წლეულს გიმნაზიაში ებრაელები აღარ მიიღოს.

**✦ მანიფესტი.** პეტროკოვის გუბერნატორს ღირსშესანიშნავი მანიფესტი გამოუცია: რადგანაც ჩემდამი რწმუნებულ გუბერნიაში მშვიდობიანობა დამყარდა, ამიტომ მცხოვრებლებს ნება ეძლევათ თავისუფლად იარონ სახაზინო არყის დუქნებშიო. აქამდის არავის არ შეეძლო სახაზინო არყის დუქანში შესვლა და ვისაც არაყი უნდოდა ფანჯრიდამ უნდა მოეთხოვნა.

**✦ დეპუტატები სამშობლოში.** ამ დღეებში პეტერბურგში დაბრუნებული დეპუტატი ჩერნოსვიტოვი. (ვლადიმირის გუბერნიიდან). ჩერნოსვიტოვს „რუსკ. სლ." კორესპონდენტისათვის შემდეგი გადაუცია: სამშობლოში ჩასვლისას ადგილობრივ გუბერნატორ საზონოვს მივმართე და ვთხოვე ნება დაერთო ამომრჩევლებისათვის სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის ანგარიში ჩამებარებინა. გუბერნატორმა ჩემი თხოვნის განხილვის შემდეგ მკითხა:

— თქვენ კადეტი ბრძანდებით? ჰოო? მაშ თუ ეგრეა, ხუთი წლის განმავლობაში, სანამ თქვენ დეპუტატად ხართ, ვერც ერთ მოხსენებას ვერ წაიკითხავთ. მე უფრო დამშვიდებულად ვგრძნობ ჩემ თავს, როდესაც კადეტები ამომრჩევლებს ანგარიშებს არ აბარებენ. თქვენ წაიკითხავთ მოხსენებას და მერე გიმნაზისტები და გიმნაზისტკები უნდა დავაპატიმროთ. ასე რომ თავის დღეში ნებას არ მოგცემთ ამომრჩევლებს მოხსენება წაუკითხოთო.

**✦ განკარგულება.** გზეთები იუწყებიან, შინაგან საქმეთა მინისტრმა ადგილობრივ მართველებს მიმართა, რაც შეიძლება იშვიათ შემთხვევებში დასაჯეთ სიკვდილით დამნაშავეებიო.

**✦ „კავშირის" დადგენილება.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" მთავარ საბჭოს დაუდგენია, ექიმი დუბროვინი თავის ნებით არ უნდა გამოცხადდეს ფინლიანდიის სასამართლოშიო.

**✦ ხოლერა და გლეხები.** „ბირჟევ. ვედ." შემდეგ ამბავს იტყობინება: ქალაქ მსტისლავის ახლო სოფელი შუმიანიჩია. ამ სოფელში ხოლერით ავად გახდა ერთი ქალი. ხელად შეიკრიბნენ სოფლელები და დაადგინეს „გააძევონ" ხოლერა. გლეხებმა გაიდნენ სოფლის გარშემო და ოთხ ადგილას დაანთეს ცეცხლი. შეიკრიბა მთელი სოფელი, ქალები სულ დატიტვლდნენ. მამაკაცები ტიროდნენ და თან მღეროდნენ, ქალები სულ თავით-ბოლომდის ტიტვლები ცეცხლს გარს ურბენდნენ და ბანს აძლევდნენ მამაკაცებს. როდესაც გული მოიჯერეს ტირილითა და ვაებით, გლეხები შინ დაბრუნდნენ. ეხლა კი ხოლერა ვეღარ შემოიხედავს ჩვენს სოფელშიო, გაიძახოდნენ გლეხები.

# კართოფილის მოყვანა ახალ სისტემით

წელს გაზაფხულზე შემთხვევით გავიცან ბ-ნი ილია წინამძღვრიშვილი, რომელმაც გამაცნო ახალი წესით პურისა და კართოფილის მოყვანა და მასთან გადმომცა თავის მიერ შედგენილი და დასტამბული ქართულ ენაზე პატარა წიგნაკები კართოფილის მოყვანის შესახებ. აპრილის 5-ში სოფელ ვაქირში (სიღნაღის მაზრაშია) თერთმეტ ორმოში ჩავთესე თითო მარცვალი კართოფილი სწორედ იმ წესით, როგორც იყო მოხსენებული ამ წიგნაკში. მოვლა-პატრონობაც შესაფერი ჰქონდა: მიწას ყოველ კვირა უყრიდი გარშემო ამოსულს ღეროებს და რწყვითაც სამჯერ მოვრწყე 15 თიბათვიდან 25 მკათათვემდე, ვინაიდან წელს ქიზიყში მეტად გვალვიანი ზაფხული იდგა. მარიამობის ცხრაში ამოვიღე კართოფილი და ანგარიშით თითეულმა ორმომ ორთაშუა რიცხვით მომცა 31 ნახევარი გირვანქა. შესანიშნავია, რომ კართოფილის ყლორტს, რომლის სიგრძე უდრიდა ხუთ ჩარექს, ყველა მუხლში ჰქონდა დახეთქილი ფესვები, კართოფილით მოსხმული. **გიორგი დოსმიშვილი.**

# უცხოეთი

**ჩინეთ-იაპონიის შეთანხმება.**

ჩინეთ-იაპონიის ახალ შეთანხმებას არა უსაბუთოდ სთვლიან პორტსმუტის ხელშეკრულობის დამატებად. (პორტსმუტის ხელშეკრულობა 1905 წ. ომის შემდეგ დაიდვა რუსეთსა და იაპონიას შორის). ამ პორტსმუტის ხელშეკრულობამ და მის მიერ შექმნილმა პირობებმა გააჩინა ის სადავო საქმეები, რომლების თაობაზე მთელ ოთხ წელიწადს ჰქონდათ დავა ჩინეთსა და იაპონიას. ამ სადავო საქმეებში არც ერთი არ იყო ისეთი, რომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონოდეს ჩინეთისთვის ან იაპონიისათვის, მაგრამ მაინც ყველა ეს საქმე ერთად აშლიდა ამ სახელმწიფოთა ურთიერთობას და მუდამ განხეთქილებას აგდებდა მათ შორის.

ახალ შეთანხმების ძალით, მოკლედ რომ ვთქვათ, იაპონიამ დასთმო ყველა იმ საქმეში, რომლებიც შეეხებოდნენ ჩინეთის თავმოყვარეობას, სამაგიეროდ თავისი გაიტანა იმ საკითხებში, რომლებიც შეეხებოდნენ მის მატერიალურ ინტერესებს. ყველაზე მეტი იაპონიამ დასთმო ჩიენ-თაოს ოლქის საქმეში. პორტს-მუტის ხელშეკრულობამ იცნა იაპონიის „პროტექტორატი" კორეიაზე, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, კორეია შთლად გადასცა იაპონიას. ამის გამო საჭირო შეიქმნა ჩინეთ-კორეის საზღვრის რიგზე გასწორება, ხოლო ამ საზღვრად ითვლებოდა მდინარე თუმენის მარჯვენა ნაპირი. იაპონელებმა მოინდომეს ამ საზღვრის გადაწევა ჩრდილოეთისკენ, რადგან ეს საზღვარი ძლიერ ახლოა ვლადივოსტოკის ციხესთან და საზოგადოდ რუსეთის სამფლობელოსთან. იაპონელებმა მოინდომეს ჩიენტაოს ოლქის დაჩემება იმ საბუთით, რომ ომის შემდეგ იქ ბევრი კორეელი გადასახლდა და ამ ჟამად იქაურ მცხოვრებთა უმეტესობას კორეელები შეადგენენო. ამის გამო იაპონიამ მოითხოვა, რომ ჩიენ-ტაო კორეის ნაწილად ეცნათ. მაგრამ ამ მუხლში, რომელიც შეეხებოდა ჩინეთის უზენაეს ხელმწიფებასა და თავმოყვარეობას,—იაპონია იძულებული იყო თითო მოეკვეცა ჩინეთის მედგრობის წინაშე. იაპონიამ აღიარა ჩინეთის უზენაესი ხელმწიფება ჩიენ-ტაოსზე, ხოლო სამაგიეროდ ჩინეთმა თავის მხრივ აღიარა ის მდგომარეობა კორეიაში, რომელიც დადგენილია პორტსმუტისა და შემდეგ 1905 წ. და 1907 წ. კორეიასთან დადებულ ხელშეკრულებით. ამას გარდა, ჩინეთმა უნდა გახსნას ყველა ნავთ-სადგური ჩიენტაოში და იქაურ ნავთსადგურებში მცხოვრები კორეელები უნდა ემორჩილებოდნენ იაპონიის მთავრობასა და კანონს. მერე, ჩინეთმა გირინიდან კორეის საზღვრამდე განზრახულ რკინის გზისთვის საჭირო ფულის ნახევარი იაპონიისაგან უნდა ისესხოს; ამით იაპონიამ უზრუნველჰყო თავისი გავლენა ამ მნიშვნელოვან გზაზე.

ჩიენტაოს საქმესთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე რკინის გზის საქმეებს პორტსმუტის ხელშეკრულობის ძალით სამხრეთ მანჯურიის რკინის გზა იაპონიის ხელში გადავიდა, იმავე 1905 წლის დეკემბერში ჩინეთმა პირობა მისცა იაპონიას, რომ ამ გზის ახლო ან მის გასწვრივ პარალელურად სხვა გზა არ გაეყვანა და ამით ზარალი არ მიეცა იაპონიის გზისთვის. ამ საბუთით იაპონიამ პროტესტი განაცხადა, როდესაც ჩინეთმა მოინდომა სინმინტან-ფაკუმონის რკინის გზის გაყვანა. ეხლანდელ მოლაპარაკების დროს ჩინელები ძლიერ ეცადნენ, რომ ზედ მიწევნით სწორედ აღენიშნათ პირობაში, რას ჰნიშნავს სიტყვები: „ახლო" ან „პარალელურად", მაგრამ ვერას გახდნენ და იაპონელებმა თავისი გაიტანეს: ყოველ ახალ რკინის გზის გაყვანის დროს, უნდა გაირკვეს, ზარალი ხომ არ ექნება იაპონიის გზას და 1905 წლის დეკემბრის პირობას ხომ არ არღვევს ჩინეთი. ეხლანდელ შეთანხმებით, სინმინტინ-ფაკუმონის რკინის გზის აშენება შეიძლება მხოლოდ იაპონიის ნებართვით. ანდუნ-მუკდენის რკინის გზის საქმეც იაპონელების სასარგებლოდ გადასწყდა. ეს გზა იაპონელებმა ხელდახელ სამხედრო საჭიროებისთვის ააშენეს ომის დროს და ეხლა უნდათ სამუდამოდ გადააკეთონ. ჩინეთმა ამის თაობაზე პროტესტი განაცხადა ამ ერთის თვის წინად, მაგრამ ეხლა შეთანხმების ძალით, მან უკან წაიღო ეს პროტესტი და თანხმობა განაცხადა, რომ იაპონიამ ეს გზა სამუდამოდ გადააკეთოს, მხოლოდ იმ პირობით, რომ იაპონიამ ფული გადაუხადოს იმ ადგილების პატრონებს, რომლებიც ჩამორთმეულ იქნება გზისთვის. შეთანხმებაში არაფერია ნათქვამი, აქვს იაპონია უფლება ჯარი ჩააყენოს რკინის გზის დასაცველად, თუ არა. ეს იმას ჰნიშნავს, რომ ჩინეთი პირუტყვმრივ სთანხმდება, რომ იაპონიამ იმდენიმე ჯარი ჩააყენოს ამ გზის დასაცველად, რამდენიც ჰყავს სამხრეთ მანჯურიის რკინის გზაზე.

ამ უმთავრეს მუხლებს მოსდევს მეორე ხარისხოვანი მუხლებიც, იაპონიას უფლება აქვს ფუშუნისა და იანტაის ქვანახშირის მადაროები შეიმუშაოს იმ პირობით, რომ იქაურ მიწის მფლობელ ჩინელებს ადგილების ფასი გადაუხადოს, იაპონიის დიპლომატიამ გამოიჩინა თავისი ჩვეულებრივი მოხერხება: იქაც არსებითი მხარე არჩია გარეგნულს ფორმას. („რ.")

**ჩინეთის პროვინციალურ პარლამენტების უფლება.**

ჩინეთის უმაღლესმა კომისიამ შეადგინა პროექტი, რომლის თანახმად ჩინეთის პროვინციალურ პარლამენტებს შემდეგი უფლება უნდა მიეცეს:

1. შეადგინონ და დაამტკიცონ კანონები ყოველ თვითეულ პროვინციისთვის.

2. მათ ხელში იქნება თითოეულ პროვინციის ბიუჯეტი და გადასახადების აწევა და

3. მათ ხელში იქნება ადგილობრივი ადმინისტრაცია და სასამართლო.

ამას გარდა, პროვინციალურ პარლამენტებს გადაეცემათ განსახილველად; 1) სამოქალაქო და სისხლის სამართლის დებულება; 2) კონსტიტუციის წესები და საკითხი ცენტრალურ ორგანიზაციის შესახებ; 3) სენატის რეორგანიზაციის საქმე; 4) ბაჟის საქმე; 5) სახელმწიფოს ვალები და 6) ფულის სისტემის საქმე.

ამ პროექტს მალე განიხილავს განსაკუთრებული სათათბირო კომისია თითონ რეგენტის პრინც ჩინის თანადასწრებით.

პროვინციალური პარლამენტები, როგორც გიცით, მომავალ ნოემბერში გაიხსნება.

**„მოღალატე" დეპუტატად აირჩიეს.**

ირლანდიის ერთ საარჩევნო ოლქში, დამატებით არჩევნებში ინგლისის დეპუტატთა პალატის წევრად აირჩიეს ირლანდიელი არტურ ლინჩი, რომელსაც საკმაოდ საინტერესო წარსული აქვს. იგი ყმაწვილობიდანვე გულმხურვალე მომხრე იყო ირლანდიის ავტონომიისა; ბურების ომის დროს ლინჩი ცარიელ თანაგრძნობის გამოცხადებას არ დასჯერდა, ბურების ჯარში შევიდა და ინგლისის წინააღმდეგ იბრძოდა. ომის შემდეგ იგი ინგლისში დაატუსაღეს, როგორც „სახელმწიფოს მოღალატე" სამართალში მისცეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. სიკვდილით დასჯა მეფემ სამუდამო კატორღად შეუცვალა; ჯერ კიდევ ბალფურის სამინისტროს დროს, მან ეს სასჯელიც აპატიეს, ხოლო ასკვიტის სამინისტროს დროს ყველა ჩამორთმეული უფლება დაუბრუნეს.

**გერმანელ სოციალ დემოკრატების გამარჯვება.**

ამას წინად გერმანიაში, ნეიშტადტლანდსკუსა და შტოლბერგში დამატებით არჩევნებში ბრწყინვალედ გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა. შტოლბერგში სოციალ-დემოკრატების კანდიდატმა მიიღო 21,178 ხმა, ხოლო ნაციონალ-ლიბერალების კანდიდატმა მარტო 9,368 ხმა. თუმცა ეს ოლქი 1890 წლიდან ეკუთვნის სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ სოციალ-დემოკრატები მაინც დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ გამარჯვებას, რადგან მან დაამტკიცა, რომ სოციალ დემოკრატიის მომხრეთა რიცხვს ძლიერ უმატნია.


# განცხადებანი

## მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) ჩქარი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 ს. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საავარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საავარაკო N 77 ა, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) ჩქარი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საავარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საავარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

## საოცრად იაფად!

7 მან. და 25 კაპეიკად ორი —●—

—●— საზამთრო ან საშემოდგომო

საკოსტიუმე ნაჭერი კაცისა და ქალისა; გაგზავნა ფოსტით ფირმის ხარჯით (ციმბირში გამომწერმა უნდა დაუმატოს 85 კაპიკი). ზარალი და რისკი შეუძლებელია: ვისაც არ მოეწონება—იმას ფაბრიკა ფულს დაუბრუნებს. ფაბრიკა კაცის კოსტიუმისთვის გზავნის 4¼ არშ. „ინგლისურ ტრიკოს" სულ ახალ სახისას, ძლიერ მკვიდრს, 2 არშინიან სიგანისას, მუქ მატერიას, და 8 არშინს ტრიკოს „მარიამას" ქალის საშემოდგომო ან საზამთრო მკვიდრ და კოხტა კოსტიუმისთვის. ფას-დადებით გამოწერის დროს უნდა გადაზდილ იქნას 16 კაპ. სიიაფის მიუხედავად ფაბრიკას მრავალი მადლობა მოსდის საქონლის სიმკვიდრისა და სიკარგისთვის. ადრესი: М. А. Бабушкина, Лодзь. N 50. წერილი უნდა დაიწეროს რუსულად ან გერმანულად.
(Метцель и К° N 48245. (3—б.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა

— დაარსებული 1880 წელს. —

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აჯეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. აკნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—164)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი

## საკომერციო ცოდნათა კურსები
**ტ. მ. ფილოიანისა.**

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 24/4.

სწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰხალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.**
(20—ზაღ.—9)

მთავრობის მიერ ნება დართულ ტფილისის

## 1-ლი საბუჰხალტრო კაბინეტი
(კიევის განყოფილებ.)

**მ. ე. ხ ა რ ი ტ ო ნ ე ნ კ ო ს ი.**

საკომერც. მეც. მასწავლებლისა და საკომერციო სასწ. მიღებულ ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოთა ავტორისა, ქ. ტფილისი, ბელინსკის ქ., N 19). საფუძვლიანი სწავლება ორმაგ, სამმაგ და მარტივ ბუხჰალტერიისა და ყოველ მხრივ მომზადება ორივე სქესის მოსწავლეთა ბუხჰალტრის, კანტორშჩიკის, კორესპონდენტისა და სხვა თანამდებობისათვის, აგრეთვე შედგენა და შემოწმება სამრეწვ. ფირმებში ანგარიშებისა, ბალანსებისა, ინვენტარისა, ექსპერტიზა და სხვ. ფასი ყველასათვის მისაწვდომია. (1—1015—1)

## ამერიკულ ვაზის სანერგე
„კლდ.-მგზრული" ქუთაისში

უდიდესი სორტიმენტი (სხვა და სხვა ჯიშის ვაზი) რუსეთში.

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური საღვინე და საყურძნე ვაზის ჯიში და თვით-გამშენებელი გიბრიდი.

**მსურველს უფასოდ უგზავნი განმარტებებს და პრეის-კურანტებს.** (20—б.—1)




## ალექსანდრე როსტომის-ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. კერვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—б.—69)